



სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ცენტრალური აპარატის (პროგრამული კოდი 30 01 01 01)
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ცენტრალური აპარატის (პროგრამული კოდი 30 01 01 01)

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	3
1.1 სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.....	3
1.2 მატერიალური ფასეულობების ნაშთები	4
1.3 ღირებულების გარეშე აღრიცხული არაფინანსური აქტივები	5
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	5
2.1 მოიჯარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგვიანებული რეაგირება.....	5
2.2 საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა არასრულად შესრულება.	6
2.3 ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემები.....	6
2.4 შრომის ანაზღაურებასა და საკადრო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები	7
2.5 თანამშრომლებისთვის ბინის ქირის განსაზღვრის ნაკლოვანება	8
2.6 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები	8
2.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვაში არსებული ნაკლოვანებები	9

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (შემდგომში „სამინისტრო“) 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოებები

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსზე ირიცხება 17,328.8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. აქედან, 2,832.6 ათასი ლარი, 2007-2009 წლებში, ყოველგვარი საგარანტიო დოკუმენტაციის გარეშე ავანსად გადარიცხული არარეზიდენტი იურიდიული პირების ანგარიშებზე, შესაბამისად მისი ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა. (რეკომენდაცია N1)
- აუდიტორული პროცედურების შესაბამისად შერჩეული 10 რეზიდენტი დებიტორიდან, ჯამური დავალიანებით - 808.0 ათასი ლარი:
 - 6 დებიტორის დავალიანების არსებობა და სიზუსტე (ღირებულებით 653.9 ათასი ლარი) ვერ დადასტურდა, ვინაიდან დებიტორებთან გაგზავნილი დასტურის წერილები უკან დაბრუნდა შესაბამისი ადრესატის მოუძიებლობის გამო.
 - 4 დებიტორის დავალიანების სიზუსტე (ღირებულებით 154.1 ათასი ლარი) ვერ დადასტურდა, სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებსა და დებიტორის სააღრიცხვო მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამო, რაც სამინისტროს მიერ ვერ იქნა განმარტებული. (რეკომენდაცია N1)
- ბალანსზე, მოთხოვნების ნაწილში, აქტივებად ირიცხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულება 5,074.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც ფაქტიურად არარსებულ აქტივს წარმოადგენს და ფინანსურ ანგარიშგებაში იწვევს აქტივების ნაშთის ზედმეტად წარმოდგენას.
- ბალანსზე რიცხული განადგურებული და დაზღვეული ავტომანქანების ჩანაცვლების პროცესი ხშირად დროში იწელება და მომავალ წელზე გადადის. ასეთ შემთხვევებში, სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ერთი მხრივ უცვლელად არის აღრიცხული ფაქტობრივად განადგურებული სატრანსპორტო საშუალებები და მათზე ხდება ცვეთის დარიცხვაც, მეორე მხრივ კი არ აღირიცხება სადაზღვევო კომპანიის მიმართ რეალურად არსებული მოთხოვნები, რადგან ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურს შესაბამისი ინფორმაცია დაგვიანებით მიეწოდება. შედეგად, გაზრდილად არის წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჯამური საბალანსო ღირებულება და მათზე დარიცხული ცვეთა, მოთხოვნები კი შემცირებულია.
- ბალანსზე ირიცხება 11,787.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 11,138.7 ათასი ლარი 2005 წლამდეა წარმოშობილი (მათ შორის, 8,357.9 ათასი ლარი თანამშრომლებზე გაუცემელი ხელფასებია, ხოლო 2,780.8 ათასი ლარი სხვადასხვა კრედიტორებზე ირიცხება,

როგორც საქონლის, მომსახურების და არაფინანსური აქტივების მიწოდებით წარმოშობილი დავალიანება). კრედიტორების ნაწილი აღარ ფუნქციონირებს. მაგალითად, სამინისტროს ბალანსზე 1998 წლიდან კრედიტორად ირიცხება ბათუმის „წყალკანალტრესტი“ დავალიანებით - 184.6 ათასი ლარი. ასეთი დასახელების ორგანიზაცია აღარ არსებობს და წლების მანძილზე არანაირი მოთხოვნა ამ თანხის გადახდის თაობაზე სამინისტროში არ შესულა. სახელწოდებით „აზერბაიჯანი“, სამინისტროს ბალანსზე 2004 წლიდან ირიცხება კრედიტორი, დავალიანებით - 1,245.1 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანება საიდუმლო შესყიდვებს უკავშირდება, თუმცა ვერ იქნა მოძიებული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე გაგზავნილი დასტურის წერილების შედეგად, 5 კრედიტორის დავალიანების სიზუსტე (ღირებულებით 427.6 ათასი ლარი) ვერ დადასტურდა, სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებისა და კრედიტორის სააღრიცხვო მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამო, რაც სამინისტროს მიერ ვერ იქნა განმარტებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად არ ასახავს არსებულ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს. შედეგად, გარკვეულწილად გაზრდილია როგორც აქტივების, ისე ვალდებულებების საბალანსო ნაშთები.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ გაააქტიუროს სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სამინისტროს ბალანსზე რიცხული აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გაამდიდროს კონტროლი ინვენტარიზაციების ხარისხიანად ჩატარებისა და მათი შედეგების დროულად და ეფექტიანად რეალიზაციის თვალსაზრისით.

რეკომენდაცია N2

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და გამართული კომუნიკაცია, რათა საბუღალტრო სამსახურს დროულად და სრულად მიეწოდოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

1.2 მატერიალური ფასეულობების ნაშთები

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, 2016 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული ინვენტარიზაციები დადგენილ ვადებში ვერ დასრულდა და მისი შედეგები ბუღალტერიას წარედგინა წლიური ფინანსური ანგარიშგების ჩაბარების ვადის (1 აპრილი) ამოწურვის შემდეგ, რის გამოც, სამინისტროს

წლიურ ანგარიშგებაში არ ასახულა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები. შედეგად, ვერ დასტურდება რიცხული მატერიალური ფასეულობების ნაშთების (167.2 ათასი ლარის ფასეულობების) არსებობა. (იხ.რეკომენდაცია N1)

1.3 ღირებულების გარეშე აღრიცხული არაფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს კუთვნილი ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად მიწა და სპეცდანიშნულების ქონება) სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ აისახება. შედეგად, სამინისტროს კუთვნილი აქტივების ჯამური ღირებულება შემცირებულადაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N3

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სრულყოფილად ასახვის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა (მათ შორის საკუთარი რესურსი), რათა განახორციელოს რაოდენობრივად აღრიცხული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა, ხოლო არარსებული ქონების ჩამოწერა შესაბამისი პროცედურებით.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 მოიჯარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე დაგვიანებული რეაგირება

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროს ბალანსზე 295.2 ათასი ლარის მოთხოვნები ირიცხება მოიჯარეების მიმართ, რომლებიც სისტემატურად არღვევდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს საიჯარო ქირის გადახდის ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იხდიდნენ საიჯარო გადასახდელებს, სამინისტროს მიერ დროულად არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები (პირგასამტეხლოს დაკისრება, ხელშეკრულებების გაუქმება და თანხის დაკავება შესაბამისი მომსახურების საფასურიდან), რამაც დავალიანებების დაგროვება გამოიწვია.

აღნიშნული მოიჯარეებიდან, კომპანია „ნიგი 2009“, ჯამური დავალიანებით 93.9 ათასი ლარი, ლიკვიდირებულია. შესაბამისად, აღნიშნული დებიტორული დავალიანების ამოღების ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო სხვა კომპანიებისგან თანხების ამოღების მიზნით, მიმდინარეობს სამართლებრივი პროცესები. შედეგად, არადროული რეაგირების ღონისძიებები ამცირებს დავალიანებების ამოღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N4

სამინისტროს ხელმძღვანელობამ განიხილოს მოიჯარეების მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის და მასზე შესაბამისი სამსახურების რეაგირების დაგვიანების მიზეზები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. სახელმწიფო ქონების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიმუშავოს და დაწეროს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების გაქირავების და შესაბამისი საიჯარო ქირის ამოღების მოქნილი და ქმედითი მექანიზმები.

2.2 საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა არასრულად შესრულება

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით სამინისტროს 2014 წლის 1 აპრილამდე უნდა წარედგინა არსებული ავტოპარკის (1,846 ავტომანქანა, გარდა ოპერატიული და სპეცმანქანებისა) ოპტიმიზაციის გეგმა სამთავრობო კომისიისათვის, რაც არ არის წარდგენილი.

ნაწილობრივ იქნა შესრულებული ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების მოთხოვნები, კერძოდ, 2016 წლისათვის გასულ წელთან შედარებით მივლინებებზე 20%-ით, ხოლო წარმომადგენლობით ხარჯებზე 4%-ით მეტი გაიხარჯა.

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები მიმართულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯების შემცირებისკენ. აღნიშნული სამართლებრივი აქტების პრინციპების დაუცველობა აფერხებს საქართველოს მთავრობის მიერ დეკლარირებულ პროცესებს.

რეკომენდაცია N5

საქართველოს მთავრობის განკარგულების მოთხოვნათა შესასრულებლად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით, დროულად შეიმუშავოს და შესაბამის სამთავრობო კომისიას წარუდგინოს არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმა, გაააქტიუროს ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვისკენ მიმართული ღონისძიებები.

2.3 ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემები

გამოვლენილი გარემოება

ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დაგეგმვისას არ არის გათვალისწინებული წინა წლის ხარჯვა და საჭიროებები. სსიპ „მომსახურების სააგენტო“ საკუთარი სახსრებით სამინისტროს გარკვეულ ხარჯებს აფინანსებს, ისე, რომ ეს ხარჯები სამინისტროს დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. სამინისტროს არ გააჩნია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების გეგმა. შედეგად, წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ხშირია საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილებები, რაც საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერ ხარჯვას იწვევს.

რეკომენდაცია N6

საბიუჯეტო თანხების თანაბარზომიერი ხარჯვისა და საბიუჯეტო ასიგნებების ხშირი გადანაწილების თავიდან ასაცილებლად, სამინისტრომ გაითვალისწინოს გასული წლის ხარჯების ფაქტობრივი მაჩვენებლები, სამინისტროს აპარატის მიერ სსიპ „მომსახურების სააგენტოს“ საკუთარი სახსრების სავარაუდო გამოყენების მასშტაბები და წინასწარ განსაზღვროს წლის განმავლობაში ჩასატარებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

2.4 შრომის ანაზღაურებასა და საკადრო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოებები

- სამინისტროს მიერ დანამატის სახით სულ გაცემულია 17,005.9 ათასი ლარი. მათ შორის, სპეციალური დანამატის სახით, რომელიც თანამშრომლებს დანიშნული აქვთ მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების საფუძველზე, გაცემულია 7,563.3 ათასი ლარი. სპეციალური დანამატი ინიშნება განუსაზღვრელი ვადით და არ არის დასაბუთებული მისი გაცემის აუცილებლობა. ამასთან, ასეთი ტიპის დანამატი თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს. შედეგად, სპეციალური დანამატის გაცემის საკმარისი გამჭვირვალობა არ არის უზრუნველყოფილი.
- 2016 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 7,659 შტატისა და 779 შტატგარეშე თანამშრომელი (10.1%) შეადგინა. სამინისტროში დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წლების მანძილზე მუშაობს ისეთ თანამდებობაზე, რომელიც თავისი სპეციფიკით, არ განირჩევა შტატით დასაქმებული თანამშრომლის სამუშაოსგან. შედეგად, საკადრო პოლიტიკა გასაუმჯობესებელია თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ტიპისა და ამოცანების, ასევე მათი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

რეკომენდაცია N7

შრომის ანაზღაურების სისტემისა და საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით:

- სპეციალური დანამატების დანიშვნა განახორციელოს მხოლოდ საფინანსო წლის განმავლობაში მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, ამასთან დანამატის გაცემის საფუძვლები დეტალურად იქნას დასაბუთებული.
- შტატგარეშე თანამშრომელთა ოდენობა განისაზღვროს არგუმენტირებულად, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2.5 თანამშრომლებისთვის ბინის ქირის განსაზღვრის ნაკლოვანება

გამოვლენილი გარემოება

თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავების მიზნით გაწეული ხარჯი წლების განმავლობაში იზრდება და 2016 წლისათვის 512.8 ათას ლარს შეადგენს. ბინის ქირის ღირებულება განისაზღვრება 287 ლარიდან, თითქმის 3,000.0 ლარამდე. მოქმედი ნორმატიული ბაზით, დაკონკრეტებული არ არის გადასახდელი საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმები და არ არის დადგენილი ზედა ზღვარი, რაც საბიუჯეტო თანხების არეკონომიურად განკარგვის რისკს წარმოშობს.

რეკომენდაცია N8

საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკის შესამცირებლად, თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავება განხორციელდეს მხოლოდ დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთან, შესაბამის ნორმატიულ აქტში დაკონკრეტდეს გადასახდელი საიჯარო ქირის განსაზღვრის კრიტერიუმები და დადგინდეს ზედა ზღვარი.

2.6 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება

სამინისტროში ტენდერების თითქმის 50% ჩატარდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში არ შეცვლილა. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანი რისკის შემცველია, მით უმეტეს, რომ სამინისტროში არსებობს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის (ბაზრის კვლევის ჩატარებასთან) დაკავშირებული პრობლემა.

უკონკურენტოდ ჩატარებული ტენდერების შერჩევითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ჯამური სავარაუდო ღირებულება მხოლოდ 2.2%-ით შემცირდა, მაშინ, როდესაც მაღალი კონკურენციის პირობებში ჩატარებულ ტენდერებში თითქმის 50 %-იანი ეკონომია იქნა მიღწეული.

სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერებში პრეტენდენტთა სიმცირე, ან საერთოდ ტენდერის ჩაშლა, ზოგიერთ შემთხვევაში განპირობებულია სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული არაპროპორციული საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და სანქციებით, შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ტექნიკური პარამეტრების ზედმეტად დეტალიზებით და შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების არასათანადო წარმართვით.

შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაპროდუქტიული ხარჯვის მომეტებულ რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N9

კონკურენტუნარიანი ტენდერების მოსამზადებლად და სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის მიზნით, გააქტიუროს მუშაობა სატენდერო დოკუმენტაციის სწორად ჩამოყალიბების, პოტენციური მიმწოდებლების დაინტერესებისა და ბაზრის კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით.

2.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვაში არსებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება

შეზღუდული ბიუჯეტის გამო, სამინისტრო ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილის, დაახლოებით 32%-ის დაზღვევას (წლიური საკასო ხარჯი 998,1 ათასი ლარი). დასაზღვევი ავტომანქანების შერჩევის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრულია საბალანსო ღირებულება და არ არის გათვალისწინებული საბაზრო ღირებულება, ავტომანქანების ექსპლუატაციის თავისებურება და არსებული რისკები.


მოქმედი ინსტრუქციით ცვეთის დარიცხვის პირობებში, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების დიდი ნაწილის ნარჩენი საბალანსო ღირებულება გაცილებით ნაკლებია მათ რეალურ საბაზრო ღირებულებაზე, რაც ჩანაცვლებისას, ზოგიერთ შემთხვევაში არასათანადო მახასიათებლებისა და დაბალი ღირებულების ავტომანქანის მიწოდებაში გამოიხატება.

ავტომანქანების დაზღვევის არსებული პრაქტიკა არ არის ოპტიმალური, არ გამომდინარეობს ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზიდან. კერძოდ, ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დაზღვეული ავტომანქანები დაუზღვეველთან შედარებით გაცილებით ხშირად ზიანდება მძღოლების დაუდევრობით, ხოლო ამ რისკის დასაზღვევად, სადაზღვევო სქემაში არ განიხილება არანაზღაურებადი მინიმუმის (ფრანშიზის) გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფს ავტომანქანების დაზღვევის პროდუქტიულობას.

რეკომენდაცია N10

ავტომანქანების დაზღვევის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბების მიზნით, სამინისტრომ იმსჯელოს სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის ხარჯთ-ეფექტურობის შესახებ და შეიმუშაოს ისეთი სადაზღვევო პირობები, რომელიც საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულ ხარჯვას შეუწყობს ხელს, კერძოდ:

- დასაზღვევი მანქანის შერჩევის კრიტერიუმად საბალანსო ღირებულების გარდა, განიხილოს საბაზრო ღირებულების, ავტომანქანების ექსპლუატაციის რისკებისა და ფუნქციონირების თავისებურებები;
- ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიის მიერ შეუღებამო მახასიათებლებისა და დაბალი ღირებულების ავტომანქანის მიწოდების რისკის შესამცირებლად, განიხილოს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების საბაზრო ღირებულებით შეფასების შესაძლებლობა;
- განიხილოს სხვადასხვა სადაზღვევო სქემების გამოყენების, მათ შორის არანაზღაურებადი მინიმუმის (ფრანშიზის) გამოყენების შესაძლებლობა.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438